

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია



საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ


მოსამართლეთა გამოკითხვის შედეგები

მოსამართლეთა გამოკითხვა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ

გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრების ინიციატივით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 19-მა მოსამართლემ, რომლებმაც შეკითხვებს უპასუხეს წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით.

რას მიიჩნევთ დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ რეალურ პრობლემად?

- სადისციპლინო საქმეთა წარმოების გაჭიანურება;
- სადისციპლინო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა;
- შერჩევითი მიდგომა სადისციპლინო საქმეების წარმოებისას;
- დისციპლინური პროცესის ნაკლები გამჭვირვალობა;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ბუნდოვანება, დისციპლინური გადაცდომების დეტალური, მკაფიო და ამომწურავი ჩამონათვალის არ არსებობა.




რას მიიჩნევთ დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ რეალურ პრობლემად?

კომენტარი

- მიჭირს პასუხის გაცემა, ვინაიდან არ მქონია შეხება დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებთან. მოქმედი კანონით თუ ვიმსჯელებთ, არ უნდა ჰქონდეს ადგილი რეალურ პრობლემებს.
- კონკრეტულ რომელიმე შემთხვევაში შესაძლებელია თავი იჩინოს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერმა... თუმცა ამ კითხვარის შევსების დროს არა მგონია, რომ რომელიმე მათგანი ფართოდ გავრცელებული და ფეხმოკიდებული იყოს არსებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაში. პასუხისმგებლობის საფუძვლები, ჩემი აზრით, არ არის ბუნდოვანი. არის ზოგადი დებულებები - როგორც კანონს უნდა ახასიათებდეს, ისეთი ჩანაწერია. ყველა კაზუსი კანონში ვერ იქნება გათვალისწინებული. კონკრეტულ ქმედებასთან მისადაგება უკვე სამუშაო პროცესია, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დავის საგანია.


რომელი დისციპლინური გადაცდომები მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ დაემატოს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს?

- პოლიტიკური გაერთიანების ან პარტიის წევრობა ან სხვა სახის პოლიტიკური საქმიანობა;
- განსახილველ საქმესთან დაკავშირებით კანონით აკრძალული კომუნიკაცია, სხვისთვის გადაწყვეტი-ლების წინასწარი შეთანხმება, (რაც არ მოიცავს სამართლებრივ საკითხებზე კოლეგიალურ კონსულტაციას), ასევე ანგარიშის ჩაბარება ან ასეთის მოთხოვნა სხვა მოსამართლისგან;
- ისეთი გაერთიანების წევრობა, რაც შეუსაბამოა მოსამართლის სტატუსთან და ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციას და სასამართლოს ავტორიტეტს;
- პროცესის მონაწილის მიზანმიმართული დისკრიმინაცია ამა თუ იმ ნიშნით;
- სხვა მოსამართლის საქმიანობაში უკანონო ჩარევა;
- იმ საქმის განხილვა, რომლის შედეგთან დაკავშირებით მოსამართლეს გააჩნია ფინანსური ინტერესი;
- კანონით და სამოსამართლო ეთიკის წესებით აკრძალული საჯარო კომენტარის გაკეთება წარმოებაში არსებულ ან დასრულებულ საქმეზე;
- მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად;
- შეურაცხყოფელი, დამამცირებელი სიტყვების ან გამოთქმების გამოყენება საჯარო გამოსვლებისას, სხდომის დარბაზში ან სასამართლო გადაწყვეტილებებში.




რომელი დისციპლინური გადაცდომები მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ დაემატოს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს?

- სხვისი დავალების ან თხოვნის შესრულება, რაც რაიმე ფორმით ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას;
- პროცესში მონაწილე პირების კოლეგების, სასამართლო პერსონალის მიმართ უპატივცემულო, ღირსების შემლახავი მოპყრობა;
- სასამართლო რესურსის გახარჯვა პირადი სარგებლობისთვის;
- საკუთარი კოლეგების ან სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო მოხსენიება ნეგატიურ კონტექსტში, ისეთი ფორმით რომელიც ხელყოფს მართლმსაჯულების პრესტიჟსა და ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;
- კოლეგების, სასამართლო პერსონალის მიმართ ნებისმიერი სახის ზეწოლა ან შევიწროება, რაც ბღალავს პირის კანონიერ უფლებებს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დანერგილ ზნეობრივ პრინციპებს ან/და ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს;
- ნებისმიერი ფორმით პოლიტიკური მხარდაჭერის და სიმპათიების გამოხატვა საჯარო გამოსვლებში ან სხდომის დარბაზში;
- სამსახურის სისტემატურად გაცდენა, დაგვიანება ან სამსახურიდან წასვლა საპატიო მიზეზის გარეშე, რასაც შედეგად მოჰყვა სასამართლო საქმიანობის სერიოზული შეფერხება.




რომელი დისციპლინური გადაცდომები მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ დაემატოს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს?

- შეუფერებელი ურთიერთობების დამყარება მოსამართლის წარმოებაში მყოფ საქმეში მონაწილე პირებთან ან მათ წარმომადგენლებთან რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას;
- მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც მისთვის ცნობილი იყო კანონის იმპერატიული ნორმით დადგენილი საქმის აცილების საფუძვლის არსებობა;
- ფინანსურ დეკლარაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის შეტანა;
- შეგნებულად ცრუ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალურ მიმართევებში ან განცხადებებში;
- სასამართლოს სხდომებზე სისტემატური დაგვიანება არასაპატიო მიზეზით;
- მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას არამართლზომიერი ქმედების ჩადენა - საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიულ მოთხოვნათა მძიმე და გამოუსწორებელი, ან მძიმე და არაერთგზისი დარღვევა, ჩადენილი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, რამაც არსებითად ხელყო პროცესის მონაწილე მხარის კონსტიტუციური უფლებები, ან ზიანი მიაყენა სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს, ან/და რამაც შეზღუდა მართლმსაჯულების პრესტიჟი და სასამართლოს ავტორიტეტი.



რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

1. სხვისი დავალების ან თხოვნის შესრულება, რაც რაიმე ფორმით ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

2. პროცესის მონაწილის მიზანმიმართული დისკრიმინაცია ამა თუ იმ ნიშნით.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

3. შეუფერებელი ურთიერთობების დამყარება მოსამართლის წარმოებაში მყოფ საქმეში მონაწილე პირებთან ან მათ წარმომადგენლებთან რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

4. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით კანონით აკრძალული კომუნიკაცია, სხვისთვის გადაწყვეტილების წინასწარი შეთანხმება, (რაც არ მოიცავს სამართლებრივ საკითხებზე კოლეგიალურ კონსულტაციას), ასევე ანგარიშის ჩაბარება ან ასეთის მოთხოვნა სხვა მოსამართლისგან.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

5. სასამართლოს სხდომებზე სისტემატური დაგვიანება არასაპატიო მიზეზით.



■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

6. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას არამართლზომიერი ქმედების ჩადენა - საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიულ მოთხოვნათა მძიმე და გამოუსწორებელი, ან მძიმე და არაერთგზისი დარღვევა, ჩადენილი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, რამაც არსებითად ხელყო პროცესის მონაწილე მხარის კონსტიტუციური უფლებები, ან ზიანი მიაყენა სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს, ან/და რამაც შეზღავნა მართლმსაჯულების პრესტიჟი და სასამართლოს ავტორიტეტი.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

7. მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც მისთვის ცნობილი იყო კანონის იმპერატიული ნორმით დადგენილი საქმის აცილების საფუძვლის არსებობა.




■ კეთილშესრულებები

■ არ კეთილშესრულებები

■ კეთილშესრულებები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

8. სხვა მოსამართლის საქმიანობაში უკანონო ჩარევა.




■ კეთილშესრულებები

■ არ კეთილშესრულებები

■ კეთილშესრულებები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით


რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

9. სამსახურის სისტემატურად გაცდენა, დაგვიანება ან სამსახურიდან წასვლა საპატიო მიზეზის გარეშე, რასაც შედეგად მოჰყვა სასამართლო საქმიანობის სერიოზული შეფერხება.



- კეთანხმები
- არ კეთანხმები
- კეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით


10. პროცესში მონაწილე პირების კოლეგების, სასამართლო პერსონალის მიმართ უპატივცემულო, ღირსების შემლახავი მოპყრობა.



- კეთანხმები
- არ კეთანხმები
- კეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

11. კოლეგების, სასამართლო პერსონალის მიმართ ნებისმიერი სახის ზეწოლა ან შევიწროება, რაც ბღალავს პირის კანონიერ უფლებებს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დანერგილ ზნეობრივ პრინციპებს ან/და ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

12. იმ საქმის განხილვა, რომლის შედეგთან დაკავშირებით მოსამართლეს გააჩნია ფინანსური ინტერესი.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

13. კანონით და სამოსამართლო ეთიკის წესებით აკრძალული საჯარო კომენტარის გაკეთება წარმოებაში არსებულ ან დასრულებულ საქმეზე.




■ კეთილშესრულებები

■ არ კეთილშესრულებები

■ კეთილშესრულებები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

14. შეურაცხყოფელი, დამამცირებელი სიტყვების ან გამოთქმების გამოყენება საჯარო გამოსვლებისას, სხდომის დარბაზში ან სასამართლო გადაწყვეტილებებში.




■ კეთილშესრულებები

■ არ კეთილშესრულებები

■ კეთილშესრულებები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

15. მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

16. პოლიტიკური გაერთიანების ან პარტიის წევრობა ან სხვა სახის პოლიტიკური საქმიანობა.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

17. ნებისმიერი ფორმით პოლიტიკური მხარდაჭერის და სიმპათიების გამოხატვა საჯარო გამოსვლებში ან სხდომის დარბაზში.




■ კეთილშესრულებები

■ არ კეთილშესრულებები

■ კეთილშესრულებები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

18. სასამართლო რესურსის გახარჯვა პირადი სარგებლობისთვის.




■ კეთილშესრულებები

■ არ კეთილშესრულებები

■ კეთილშესრულებები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

19. ფინანსურ დეკლარაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის შეტანა.




■ კეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ კეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

20. საკუთარი კოლეგების ან სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო მოხსენიება ნეგატიურ კონტექსტში, ისეთი ფორმით რომელიც ხელყოფს მართლმსაჯულების პრესტიჟსა და ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.




■ კეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ კეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

21. შეგნებულად ცრუ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალურ მიმართვებში ან განცხადებებში.




■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები

■ ვეთანხმები, მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებით

22. ისეთი გაერთიანების წევრობა, რაც შეუსაბამოა მოსამართლის სტატუსთან და ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციას და სასამართლოს ავტორიტეტს.



■ ვეთანხმები

■ არ ვეთანხმები


რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი პუნქტები?

კომენტარი

- ზემოაღნიშნული პუნქტები ძირითადად გათვალისწინებულია სამოსამართლო ეთიკის ნორმებით და მათი დარღვევა ისედაც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას;
- ამ ჩამონათვალში უბრალოდ დაკონკრეტებულია ის შემთხვევები, რასაც მოქმედი კანონი თავის თავში ისედაც გულისხმობს. ჩემი აზრით, ნებისმიერი პუნქტი ამ ჩამონათვალიდან შესაძლებელია დღესაც დაედოს საფუძვლად მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, თუ ასეთ შემთხვევებს ექნება ადგილი. მაგალითად, პროცესის მონაწილის დისკრიმინაცია, არასაპატიო მიზეზით პროცესებზე სისტემატური დაგვიანება და ა.შ.;
- ამ ჩამონათვალში მითითებულ დარღვევებს ფაქტობრივად მოიცავს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი;
- ყურადღებით ჩავიკითხე ზემოთ მითითებული პუნქტები და ჩემი აზრით, არ არსებობს ამ პუნქტების დამატების სამართლებრივი საფუძველი, რადგან, ნებისმიერი ქმედება უკვე არსებული საფუძვლების ფარგლებში ექცევა და მოიაზრება. ესა თუ ის შემადგენლობა, ჩემი აზრით, მაშინ შეიძლება დაკონკრეტდეს კანონში და პირდაპირ ჩაიწეროს დამოუკიდებელ შემადგენლობად, თუ შესაბამისი კვლევების შედეგად დადგინდება, რომ მსგავსმა ქცევამ მოიკიდა ფეხი და ფართოდაა გავრცელებული მოსამართლეთა შორის. ზემოთ მითითებული ქმედებების ჩამონათვალის დიდი ნაწილი, ჩემი აზრით, იმდენად შორს არის სამოსამართლო ქცევისაგან, რომ არც არასდროს მიეცემა პრაქტიკულად განხორციელებული ქმედების სახე. ამავე დროს, ჩემი აზრით, შემოთავაზებული პუნქტების დიდი ნაწილი ფართოა და ბუნდოვანი, იძლევა მრავალგვარი განმარტების საშუალებას, მით უფრო შესაბამისი კვლევებისა და პრაქტიკის არარსებობის პირობებში;
- აქ მოყვანილი ზოგიერთი ქმედებისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, უმრავლესი მათგანის ფორმულირება კი ბუნდოვანია და მრავალნაირი განმარტების საშუალებას იძლევა, რაც მოსამართლეს დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებელ ორგანოზე დამოკიდებულს ხდის. საერთოდ, ჩემი აზრით, ამჟამად სასამართლო ხელისუფლების წინაშე არ დგას ის პრობლემა, რომელიც იდგა 2005 წლის, რეფორმის დასაწყისში – მასიური კორუფციის და ზოგიერთი მოსამართლის თვითნებობის, უფრო პირიქით. ის პრობლემა, რომელიც სასამართლოს წინაშე 2005 წლის შემდეგ დადგა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო კანონზე დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, რომლის თანახმადაც, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეეძლო პრაქტიკულად ნებისმიერი მიზეზით პასუხისმგებამდე მიეცა მოსამართლე და ეს იქნებოდა კანონიერი. ამან კი გამოიწვია ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო გახდა მოსამართლის „დირექტორი“ და, ამის შესაბამისად, მოსამართლეც მის ქვეშევრდომად გრძნობდა თავს – სინამდვილეში, მოსამართლეებს ან, ყოველ შემთხვევაში, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას მაინც, პრეზიდენტის, იუსტიციის მინისტრის ან პროკურორის კი არ ეშინოდათ ან მათ მიმართ კი არ იყვნენ ზედმეტად ლოიალურად განწყობილები, არამედ მათ საქმიანობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენას კანონის საფუძველზე (!) დასჯის მუდმივი საფრთხე ახდენდა. ამიტომ, ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, საჭიროა კანონი მაქსიმალურად ლოიალური იყოს მოსამართლეების და მაქსიმალურად შემზღუდავი დისციპლინური სამართალწარმოების განმხორციელებელი ორგანოს მიმართ – მკაცრი კანონი, არა მარტო, მოსამართლეებს, არამედ თავად საბჭოსაც შეზღუდავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კატეგორიულად არ ვეთანხმები მოსამართლეთა პასუხისმგებლობას ე.წ. შრომის დისციპლინის დარღვევის გამო (სამსახურში დაგვიანება და მისთ.), რადგან ეს, პრაქტიკულად, მოსამართლეს სასამართლოს ადმინისტრაციაზე დამოკიდებულს ხდის.

მოსამართლის მიერ საქმის წარმოების დროს კანონის დარღვევა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად და რა შემთხვევებში?

- არც ერთ შემთხვევაში;
- თუ ჩადენილია განზრახ;
- თუ ჩადენილია არაკეთილსინდისიერი მოტივით/ზოროტი განზრახვით;
- თუ შეგნებულად არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას;
- თუ ჩადენილია მართლმსაჯულების განზრახ გამრუდების მიზნით;
- თუ ავლენს მოსამართლის აშკარა მიკერძოებას;
- თუ ავლენს მოსამართლის მიერ კანონის არასაპატიო უცოდინრობას;
- თუ მოსამართლემ არ შეასრულა კანონით დადგენილი სავალდებულო მოქმედება;
- ზიანს აყენებს მართლმსაჯულების პრესტიჟს/ავტორიტეტს/მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობას.




მოსამართლის მიერ საქმის წარმოების დროს კანონის დარღვევა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად და რა შემთხვევებში?


კომენტარი

- მოსამართლის მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა, თუ ეს გამომდინარეობს კანონის არასწორი განმარტებიდან, კანონის მოსამართლისეული ხედვიდან, შეიძლება გახდეს მხოლოდ ზემდგომი მოსამართლის მსჯელობის საგანი, გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას და ეს არ უნდა იწვევდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. დანარჩენ შემთხვევებში, უნდა მოხდეს მისი შესწავლა, შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- ჩვენი აზრით, კანონის დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს მხოლოდ ის ჩადენილია იგი განზრახ (შეგნებულად) თუ განზრახვის გარეშე. სხვა დანარჩენს (მათ შორის შედეგსაც), ვფიქრობთ ნაკლები მნიშვნელობა აქვს;
- ჩემი აზრით, აქ ჩამოთვლილი საფუძვლების მითითება ერთი შეხედვით ლოგიკურია და როცა კითხულობ, ფიქრობ, ნებისმიერი პუნქტის წაკითხვისას, რომ, რატომაც არა, თუ ასეთი ფაქტი დადგინდა, უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით. მაგრამ ყოველდღიური სამოსამართლო საქმიანობა რომ წარმოვიდგინოთ, ასევე საქმის წარმოების ეტაპები (ინსტანციები მაქვს მხედველობაში) და თითოეული ინსტანციის მნიშვნელობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, ვფიქრობ, რომ დისციპლინური საქმისწარმოების განმახორციელებელ ორგანოს მიერ შეუძლებელია ობიექტურად რომელიმე საფუძვლის დადგენა. მაგალითად, საფუძველი „რ“ - თუ მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ახლავს კანონით გათვალისწინებული დასაბუთება. თვითონ ცნება „კანონით გათვალისწინებული დასაბუთება“ ისევ მოსამართლეთა შეფასებაა და სადისციპლინო ორგანო ობიექტურად ვერ დაადგენს და არც უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შეამოწმოს კონკრეტული გადაწყვეტილების დასაბუთება. გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით ყველასთვის ცნობილია, რომ საკითხის დასაბუთების სრულყოფა მუდმივად შეიძლება. თუ უკვე არსებობს მოცემული დასაბუთება, მისი საწინააღმდეგოს მტკიცების გზებიც ჩნდება და მისი სრულყოფისაც. ჩემი აზრით, უმეტესი მათგანი ზოგადი ხასიათისაა, რაც შეუძლებელს გახდის ერთნაირი სტანდარტით მათ გამოყენებას ყველა მოსამართლის მიმართ. ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო „ბ“ ქვეპუნქტზე და ავლენო, რომ ზემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლა და გაუქმების დასაბუთება არ არის ქვემდგომი სასამართლოს არაკომპეტენტურობის დამადასტურებელი მტკიცებულება. ეს არის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი და ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიჩნევა, რომ ქვემდგომი სასამართლოს მიერ კანონის დარღვევა იქნა ამით ზემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი. ყველაზე კარგად დასაბუთებული უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილებაც რომ ავიღოთ, ის არის სამივე ინსტანციის გონებრივი შრომის საბოლოო შედეგი იმის მიუხედავად, ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილებები შეიცვალა თუ უცვლელი დარჩა;
- კატეგორიულად არ ვეთანხმები, იმიტომ, რომ კანონის შეფარდების, გამოყენებისა და განმარტების უფლება აქვს სასამართლოს. მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება იმის გამო, რომ მან გამოიყენა და განმარტა კანონი არაკონსტიტუციურია. ცხადია ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. სწორედ კანონის მსგავსა ნორმამ – კანონის უხეში დარღვევა – გამოიწვია, მნიშვნელოვანწილად, ის პრობლემები, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით ჰქონდა.

ხომ არ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს დაემატოს რაიმე ახალი ტიპის სახდელი?




მიიჩნევთ თუ არა მიზანშეწონილად, რომ დისციპლინურ ორგანოებს ჰქონდეთ უფლებამოსილება სათანადო საფუძვლების არსებობისას მოსამართლეს შეუჩერონ უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების დასრულებამდე?



მტკიცების რა სტანდარტით უნდა იყოს შესაძლებელი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობა?

■ აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით;

■ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით (თუ შეკრებილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებენ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენას).




კომენტარი

ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, ესა თუ ის საპროცესო მოქმედება არ შესრულდა კანონით გათვალისწინებულ ვადაში. ამ საკითხში ბრალეულობის დადგენა პირდაპირ დაკავშირებულია მოსამართლის იმ პერიოდის დატვირთულობასთან. ყოველ კონკრეტულ ფაქტზე კონკრეტული გარემოებები იქნება შესაფასებელი.

ვინ უნდა ატარებდეს წინასწარ შემოწმებას/გამოკვლევას საგარეუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე?


- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელე;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ცალკე სამსახური, რომელიც განახორციელებს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ შემოწმებას/გამოკვლევას.



კომენტარი

პრინციპული მიდგომა არ მაქვს, ყველა ზემოთ დასახელებულმა პირმა ან ორგანომ შეიძლება ჩაატაროს, მთავარია, დაცული იყოს კანონით გაწერილი პროცედურა და მოთხოვნები.

რა მაქსიმალურ ვადაში უნდა დასრულდეს დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება/გამოკვლევა (რა ვადა უნდა იყოს კანონით გაწერილი საჩივრის შეტანიდან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემამდე)?



კომენტარი


აღბათ 2-3 თვე. საკითხი რაც მალე გადაწყდება, მით უკეთესი. ჩემი აზრით, ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ამ ვადის გაგრძელება.

სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის სხდომები უნდა იყოს:


■ ღია მხოლოდ დისციპლინურ პასუხისგებაში
მიცემული მოსამართლის მოთხოვნის
საფუძველზე;

■ დახურული


■ როგორც წესი ღია, მაგრამ დაიხუროს
მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე.



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე უნდა ქვეყნდებოდეს:



სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს:



სხვა რა ძირითად პრობლემებს ხედავთ მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების წარმოების კუთხით და რის გამოსწორებას ისურვებდით?

- დისციპლინური სამართალწარმოება არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ მოსამართლის დისკრედიტაციას და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს მის დამოუკიდებლობას;
- ძნელია პასუხის გაცემა, ვინაიდან არ ვიცნობ პრაქტიკიდან გამომდინარე პრობლემატიკას;
- შესაძლებელია შემდგომში დამატებით შემოგთავაზოთ ჩემეული ხედვა მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების წარმოების კუთხით;
- სასურველია მეტი ტრენინგები, მოსამართლეებისათვის, ამ კუთხით. ეს ხელს შეუწყობს პრაქტიკის განზოგადებასა და გადაცდომების კონკრეტიზაციას;
- სასურველია შესწავლილი იქნეს სხვა ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ;
- მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმეების წარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ეთიკის წესების დარღვევის შემთხვევაში;
- სადისციპლინო სამართალწარმოების პროცესში მოსამართლემ არ უნდა იგრძნოს თავი დევნის განმახორციელებელ პირზე დაქვემდებარებულ სუბიექტად. გარდა ამისა, პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოსამართლე ვალდებულია დაწეროს ახსნა-განმარტება, დამამცირებელია. პრეტენზიასთან დაკავშირებით მოსამართლის მოსაზრების – და არა ახსნა-განმარტების – წარდგენა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. თუ მოსამართლეს არ სურს ამ გზით დაიცვას თავი ეს მისი გადასაწყვეტი უნდა იყოს.

რა ინფორმაციის განთავსებას ისურვებდით საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ვებ გვერდზე - <http://dcj.court.ge/>

- დისციპლინური სამართალწარმოების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ;
- საინტერესო იქნება ინფორმაცია უცხოური პრაქტიკის შესახებ ამ დარგში;
- განვითარებული ქვეყნების პრაქტიკისა და მაგალითების... სად რა ითვლება დისციპლინურ გადაცდომად... ვინ მსჯელობს ამ საკითხებზე... რა ჩაითვალა გადაცდომად და რა არ ჩაითვალა.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია



2014 წელი